ვახტანგ მჭედლიშვილი

ვახტანგ მჭედლიშვილი (მჭედლოვი) 1884 წლის 6 აგვისტოს დაიბადა ბათუმში. მამამისი, ლევანი, ფრიად განათლებული კაცი იყო. იგი კარგად იცნობდა ქართულ ლიტერატურას და „კრაზანას“ ფსევდონიმით ბეჭდავდა წერილებს „დროებასა“ და „ივერიაში“. უყვარდა თეატრი და ბათუმში საგასტროლოდ ჩასული მსახიობები ხშირად იკრიბებოდნენ მის ოჯახში.

ვახტანგ მჭედლიშვილი ვაჟთა გიმნაზიაში სწავლისას ხშირად მართავდა სასკოლო სპექტაკლებს. 1904 წელს, გიმნაზიის დასრულების შემდეგ მან სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, პარალელურად ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის დახმარებით, მცირე თეატრში მიიღეს უსიტყვო როლების შემსრულებლად, შემდეგ კი სამხატვრო თეატრის სარეჟისორო კურსების მსმენელად ჩაირიცხა, რომელიც 1907 წელს დაამთავრა და რეჟისორის თანაშემწედ დაინიშნა. პარალელურად მსახიობის ოსტატობას ასწავლიდა ს. ხალიუტინას, ა. ადაშევისა და ნ. მასლიტინოვის დრამატული ხელოვნების სკოლებში. მოგვიანებით, ვახტანგ მჭედლიშვილი სამხატვრო თეატრის რეჟისორად გადაიყვანეს, სადაც დამდგმელ რეჟისორებთან ერთად მუშაობდა ისეთ ცნობილ სპექტაკლებზე, როგორიც იყო ჰენრიკ იბსენის „ბრანდი“, ლეონიდ ანდრეევის „ანათემა“, ფიოდორ დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები“, მორის მეტერლინგის „ლურჯი ფრინველი“ და სხვები. მის სახელთანაა დაკავშირებული 1916 წელს სამხატვრო თეატრის მეორე სტუდიის დაარსება, სადაც აღიზარდნენ რუსული თეატრის წამყვანი მსახიობები: ალა ტარასოვა, ნიკოლაი ხმელიოვი, ნიკოლაი ბატალოვი და სხვები.

1921 წელს ვახტანგ მჭედლიშვილმა დააარსა იმპროვიზაციის სტუდია. მას მიაჩნდა, რომ თეატრალური ხელოვნების შემდგომი განვითარებისთვის საკმარისი არ იყო ტრადიციული გზით სიარული, საჭირო იყო ახალი, თანამედროვეობის სულით გაჟღენთილი თეატრი, სადაც მსახიობი სრულ თავისუფლებას მიაღწევდა.

იმპროვიზაციის სტუდიაში იგი თავად იყო მსახიობი, დრამატურგი, რეჟისორი და შემსრულებელიც. მისი გარდაცვალების შემდეგ თეატრს „ნიღბების“ თეატრი ეწოდა, რომელიც ვახტანგ მჭედლიშვილის სახელს ატარებდა. 1927 წელს ეს თეატრი საგასტროლოდ თბილისშიც კი იმყოფებოდა.

1923 წელს მან მოსკოვში ასევე შექმნა დრამატული სტუდია, რომელშიც გაერთიანდნენ ისეთი თვალსაჩინო თეატრალური მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ: შოთა აღსაბაძე, გიორგი ჟურული, ნიკო გოძიაშვილი, გრიგოლ (გრიშა) სულიაშვილი, გიორგი მიქელაძე, იოსებ (ბება) თუმანიშვილი, მიხეილ ქორელი, ანტონ ჭუმბურიძე, შალვა სოსლანი (სოსელია) და სხვები.

ვასილ მჭედლიშვილის დადგმებიდან აღსანიშნავია: ანტონ ჩეხოვის „თოლია“, ზინაიდა გიპიუსის „მწვანე ბეჭედი“, სმოლინის „ელიზავეტა პეტროვნა“, იან ამოს კომენსკის „აქ ადიდებენ გონებას“, კაიზერის „იუდეველთა ქვრივი“ (გ. სახნოვსკისთან ერთად. 1921 წ.), პანსკის „მარად ურია“. სამხატვრო თეატრის საზღვარგარეთ ყოფნის დროს მან მეორე სტუდიის ძალებით აღადგინა მორის მეტერლინგის „ლურჯი ფრინველი“.

ვახტანგ მჭედლიშვილი 1924 წლის 19 მაისს მოსკოვში გარდაიცვალა. დაკრძალულია მოსკოვშივე, ვაგანკოვოს სასაფლაოზე.

მართალია ვახტანგ მჭედლიშვილს საქართველოში სპექტაკლები არ დაუდგამს, მაგრამ მოსკოვის ქართული დრამატული სტუდიის დაარსებით მან მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქართული თეატრის ისტორიაში.

ვახტანგ მჭედლიშვილის პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. ვახტანგ მჭედლიშვილის ხელოვნების მუშაკის (РАБИС) წიგნაკი.
1917 წ. რუსულ ენაზე. ხელით შევსებული. 1 ც.

2. მოსკოვის სამხატვრო თეატრთან არსებული მეორე სტუდიის მიერ გაცემული ცნობა, ვახტანგ მჭედლიშვილის დონბასში მივლინებასთან დაკავშირებით, სადაც ჩატარდა მოსკოვის სამხატვრო თეატრის მეორე სტუდიის სპექტაკლები.
1921 წ. 11 ივნისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

3. მოსკოვის სამხატვრო თეატრის მეორე სტუდიის დირექციის მიერ გაცემული მანდატი, ანატოლი ლუნაჩარსკის ბრძანებით ვახტანგ მჭედლიშვილის – ბერდიანსკში, მარიუპოლში, ბახმუტსა და მაშინდელი საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში მივლინების შესახებ, დონბასში წითელ არმიელთათვის სპექტაკლების გამართვასთან დაკავშირებით.
1921 წ. 21 ივნისი. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

4. ვახტანგ მჭედლიშვილის მიმართვა საქართველოს სახალხო კომისარიატისადმი, მოსკოვის სამხატვრო თეატრთან არსებული მეორე სტუდიის თბილისში საგასტროლოდ გამგზავრებასთან დაკავშირებით (ფინანსური პრობლემების გამო თბილისში გასტროლები არ გამართულა).
1922 წ. ივლისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

5. საქართველოს განათლების სახალხო კომისრის ბრძანება და მანდატი, რუსეთში სათეატრო სექციის წარმომადგენლად ვახტანგ მჭედლიშვილის დანიშვნასთან დაკავშირებით.
1923 წ. 31 მაისი. ნაბეჭდი. ქართულ და რუსულ ენებზე. ხელს აწერს – განათლების სახალხო კომისარი – კანდელაკი. 3 გვ.

6. ვახტანგ მჭედლიშვილის თხოვნა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსადმი, მოსკოვის ქართული სახალხო დრამატული სტუდიის შესაქმნელად, მეცადინეობისა და მოსწავლეთა შენახვისთვის შედგენილი ხარჯთაღრიცხვისთვის სასწრაფოდ დამტკიცების შესახებ. მითითებულია მოსწავლეთა სია 6 პირის შემადგენლობით: 1) ელენე ციხისთავი; 2) გიორგი ბახტაძე-დევისონი; 3) ნიკოლოზ გოძიაშვილი; 4) გიორგი ჟურული; 5) შალვა სოსლანი; 7) გრიგოლ სულიაშვილი.
1923 წ. 1 სექტემბერი. თბილისი. ხელნაწერი. 2 გვ.

7. ვახტანგ მჭედლიშვილის მოკლე ავტობიოგრაფია.
1924 წ. 23 მაისი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. მელანი. 4 გვ.

8. საქართველოს სსრ სახალხო განათლების კომისარიატის მანდატი, მოსკოვის დრამატული სტუდიის შენობაში საქართველოს სახალხო კომისარიატისა და მოსკოვის სამხატვრო თეატრის რეჟისორის ვ. მჭედლიშვილის მიერ სპეციალური ნებართვის გარეშე უცხო პირთა შესვლასთან დაკავშირებით.
უთარიღო. ნაბეჭდი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 გვ.

9. თეატრ „ღამურას“ კოლექტივის განცხადება ვახტანგ მჭედლიშვილისა და ლუბა დემენტიევას ქორწინებასთან დაკავშირებით.
უთარიღო. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. წითელი ფანქარი. მელანი. ხელს აწერს: თეატრის ხელმძღვანელი – ა. არხანგელსკი. 1 გვ. (ძლიერ დაზიანებული).

10. ვახტანგ მჭედლიშვილის ბიოგრაფიული ჩანაწერები.
უთარიღო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ჩასწორებული ფანქრით. 21 გვ. (აკლია 15, 17-21 გვერდები).

11. ვახტანგ მჭედლიშვილის მოკლე ავტობიოგრაფია, შედგენილი ლუბა მჭედლოვა-დემენტიევას (ვ. მჭედლიშვილის მეუღლე) მიერ.
უთარიღო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 3გვ.

12. სამხატვრო თეატრის მეორე სტუდიის მიერ მიძღვნილი ადრესი (ლექსად) ვახტანგ მჭედლიშვილისადმი.
1922 წ. 12 მაისი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. მწვანე მელანი. ხელს აწერენ: ნ. ბატალოვი, მ. პრუდნიკი, ე. ელინა, მოლჩანოვა, ტელეშოვა, ვერბიცკი, ხმელიოვი, კალუჟსკი. 1 გვ. (დაზიანებული).

13. მოსკოვის იმპროვიზაციის თეატრის სამონტაჟო ნაწილის მოსალოცი ადრესი ვახტანგ მჭედლიშვილისადმი (მასალა რესტავრირებულია 2007 წელს. ერთვის რესტავრაციის ჩატარების დამადასტურებელი წერილი).
1924 წ. 25 თებერვალი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. კალკა. აკვარელი. ხელს აწერს – მხატვარი-ალექსეი (გვარი არ იკითხება).1 გვ.

14. ვახტანგ მჭედლიშვილის მოხსენებითი ბარათი მოსკოვის თეატრ „Летучая мышь“-თან („ღამურა“) იმპროვიზაციის სტუდიის ჩამოყალიბების შესახებ. აქვე იძლევა განმარტებას იპროვიზაციის თეატრის მნიშვნელობის შესახებ. მითითებულია სწავლების პროგრამის გრაფიკი.
უთარიღო. ნაბეჭდი. ფოტოპირი. რუსულ ენაზე. 3 გვ. (2 ეგზ).

15. ვახტანგ მჭედლიშვილის მიერ დაარსებული იმპროვიზაციის სტუდიის მსახიობთა დეკლარაცია.
უთარიღო. ხელნაწერის ფოტოასლი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

16. ვახტანგ მჭედლიშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი დღიურის სახის ჩანაწერები, თეატრალური ხელოვნებისა და იმპროვიზაციის თეატრის შესახებ.
პირი: ი. გორბუნოვი, ნ. სტავროგინი, სტახოვიჩი, ა. არტიომი, პაოლო ტრუბეცკოი (მოქანდაკე).
1912 წ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ჩასწორებული ფანქრით. 56 გვ.

17. ვახტანგ მჭედლიშვილის ესთეტიკური შეხედულებები იმპროვიზაციის სისტემაზე. მასალას ერთვის დრამატურგების ალექსანდრ ფაიკოსა და მიხაილ ბაევის დადებითი რეცენზია.
1976 წ. 31 მაისი. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 57 გვ.

18. ვახტანგ მჭედლიშვილის ნაშრომი იმპროვიზაციის შესახებ. პირველი წყარო. ჩასწორებული ვახტანგ მჭედლიშვილის მიერ.
უთარიღო. ნაბეჭდი. ფანქარი. 78 გვ.

19. ვახტანგ მჭედლიშვილის მიერ ჩაწერილი „ცხოვრებისეული შემთხვევები“. იმპროვიზაცია.
უთარიღო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 12 გვ.

20. მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის რეჟისორისა და იმპროვიზაციის თეატრის ხელმძღვანელის ვახტანგ მჭედლიშვილის ჩანაწერები „იმპროვიზაციის შესახებ“ – I, II და III ნაწილი.
უთარიღო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 61 გვ.

21. „იოგების ფილოსოფია“, რომელსაც ვახტანგ მჭედლიშვილი იყენებდა სტუდენტებთან მუშაობის დროს.
უთარიღო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ჩასწორებებით. 15 გვ.

22. ვახტანგ მჭედლიშვილის ამოცანათა კრებული, იმპროვიზაციის თეატრთან დაკავშირებით.
უთარიღო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. მელანი. 3 გვ. (დაზიანებული).

ეპისტოლარული მემკვიდრეობა

ვახტანგ მჭედლიშვილის წერილები

23. ვახტანგ მჭედლიშვილის წერილები ახლობლებისადმი, გადაწერილი უცნობი პირის მიერ.
1) მაქსიმ გორკისთან და მარია ანდრეევასთან (მ. გორკის მეუღლე) 10 დღის განმავლობაში სტუმრობასთან დაკავშირებით.
2) მოსკოვის სამხატვრო თეატრთან არსებული მეორე სტუდიის მიერ ზინაიდა გიპიუსის „მწვანე ბეჭდის“ დადგმასთან დაკავშირებით.
3) მოსკოვის სამხატვრო თეატრის მეორე სტუდიის შესახებ.
4) მოსკოვის სამხატვრო თეატრის მეორე სტუდიისადმი, სტანისლავსკისა და სტახოვიჩის (სამხატვრო თეატრის მსახიობი) მატერიალურ დახმარებასთან დაკავშირებით.
5) გიპიუსისგან სპექტაკლ „მწვანე ბეჭდის“ დასადგმელად უფლების მოპოვებასთან დაკავშირებით.
1914 წ. ივლისი, 1916 წ. 27 ივლისი, 26 ნოემბერი, 11 ივლისი. 1920-1024 წწ. აგვისტო, 13 თებერვალი, ნოემბერი, 19 მარტი. მელანი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. ასლები. აკინძული. 8 გვ.

24. ვახტანგ მჭედლიშვილის წერილი ლუბა დემენტიევასადმი, მეორე სამხატვრო თეატრის იუბილეზე მისი ლექსების წაკითხვის შესახებ.
1921 წ. 8 დეკემბერი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

25. ვახტანგ მჭედლიშვილის დაბადების დღის მისალოცი წერილი მიხაილ ბაევისადმი (ვ. მჭედლიშვილის მოწაფე).
1922 წ. 22 თებერვალი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

26. ვახტანგ მჭედლიშვილის წერილი ლუბა დემენტიევასადმი რეპეტიციების შესახებ.
1922 წ. 24 თებერვალი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

27. ვახტანგ მჭედლიშვილის პირადი ხასიათის წერილი ლუბა დემენტიევასადმი.
1922 წ. 21 მარტი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

28. ვახტანგ მჭედლიშვილის წერილი ლუბა დემენტიევასადმი, ჟურნალში „Северные маски“ („ჩრდილოეთის ნიღბები“) იმპროვიზაციის სტუდიკის ირგვლივ ჩანაწერების შესახებ.
1922 წ. 11 დეკემბერი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

29. ვახტანგ მჭედლიშვილის პირადი ხასიათის წერილი ლუბა დემენტიევასადმი.
1921 წ. 2 დეკემბერი. ავტოგრაფი. შავი მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

30. ვახტანგ მჭედლიშვილის წერილი ლუბა დემენტიევასადმი იმპროვიზაციის სტუდიაში სპექტაკლ „Семперантэ“-ზე მუშაობის შესახებ.
11 დეკემბერი (წელი მითითებული არ არის). ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

31. ვახტანგ მჭედლიშვილის პირადი ხასიათის წერილები ლუბა დემენტიევასადმი.
29, 30 დეკემბერი (წელი მითითებული არ არის). ავტოგრაფი. შავი და ლურჯი მელანი. ფანქარი. 4 გვ.

32. ვახტანგ მჭედლიშვილის პირადი ხასიათის წერილი ლუბა დემენტიევასადმი.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

33. ვახტანგ მჭედლიშვილის სასიყვარულო წერილი ლუბა დემენტიევასადმი.
უთარიღო. ავტოგრაფი. შავი მელანი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

34. ვახტანგ მჭედლიშვილის წერილი ა. ტაიროვისადმი, სტანისლავსკის კამერული თეატრისა და მისი სწავლების უმაღლეს სკოლასთან დაკავშირებით.
უთარიღო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ასლი. 2 გვ.

35. ვახტანგ მჭედლიშვილის წერილი დედისამი (სოღორაშვილი), მოსკოვის სამხატვრო თეატრში მსახიობად ჩარიცხვასთან დაკავშირებით, აგრეთვე პირადი ხასიათის.
პირი: სუმბათაშვილი (ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინი), ნინო (მჭედლიშვილის და), ეკატერინა, ფილიპე, ევგენია, გრიშა (გვარები მითითებული არ არის).
უთარიღო. ავტოგრაფი. შავი მელანი. 3 გვ.

წერილები ვახტანგ მჭედლიშვილისადმი

36. ვლადიმირ ნემიროვიჩ-დანჩენკოს მისალოცი წერილი ვახტანგ მჭედლიშვილისა და თეატრალური სტუდიის დასისადმი, სპექტაკლ „Зеленое кольцо“-ს („მწვანე ბეჭედი“) წარმატებით გამართვასთან დაკავშირებით. ასლი დედანთან დამოწმებულია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, მოსკოვის სამხატვრო თეატრის დირექტორის, ნ. ტელეშოვის ხელმოწერით.
1916 წ. 20 ნოემბერი. ნაბეჭდი. ასლი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

37. ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის წერილი ვახტანგ მჭედლიშვილისადმი, მოსკოვის მცირე თეატრთან არსებული მეორე სტუდიის დაარსების ფინანსურ საკითხთან დაკავშირებით.
1923 წ. 28 ოქტომბერი. ავტოგრაფი. ქართულ და რუსულ ენებზე. მელანი. 1 გვ.

38. ბულგარეთის ნაციონალური თეატრის მეორე რეჟისორის, საავა ოგნიანოვის წერილი ვ. მჭედლიშვილისადმი, სტანისლავსკის რეკომენდაციით ბერლინის ნაციონალური თეატრის მთავარ რეჟისორად მიწვევასთან დაკავშირებით.
უთარიღო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ასლი. 1 გვ.

ვახტანგ მჭედლიშვილის მოგონებები

39. ვახტანგ მჭედლიშვილის მოგონება სამხატვრო თეატრში სტუდენტებთან იმპროვიზაციაზე მუშაობის შესახებ.
პირი: მაქსიმ გორკი.
უთრიღო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 16 გვ.

40. ვახტანგ მჭედლიშვილის მოგონება მოსკოვში ჩასვლის პირველ წლებთან დაკავშირებით.
პირი: ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინი, ვლადიმირ ნემიროვიჩ-დანჩენკო, კონსტანტინ სტანისლავსკი, ვასილი ივანოვიჩ კაჩალოვი (შვერუბოვიჩი).
უთარიღო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. აკინძული. 10 გვ.

მოგონებები ვახტანგ მჭედლიშვილის შესახებ

41. ნინა მჭედლოვას (ვახტანგ მჭედლიშვილის და) მოგონება ვახტანგ მჭედლიშვილის შესახებ.
პირი: კონსტანტინ სტანისლავსკი.
1924 წ. 22 სექტემბერი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. მელანი. 4 გვ.

42. მჭედლოვა-სოღორაშვილის (ვახტანგ მჭედლიშვილის დედის) მოგონება ვახტანგ მჭედლიშვილის შესახებ
1929 წ. 12 ნოემბერი. ხელნაწერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 38 გვ.

43. ვ. ვერბიცკის მოგონება ვახტანგ მჭედლიშვილის შესახებ, ასევე მოსკოვის თეატრთან ქართული დრამატული სტუდიის გახსნასთან დაკავშირებით (ეს მოგონება ვ. ვერბიცკიმ წაიკითხა ვახტანგ მჭედლიშვილის დაკრძალვის დღეს).
1924 წ. 29 ნოემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

44. ეკატერინა ტელეშოვას მოგონება ვახტანგ მჭედლიშვილის შესახებ, რომელიც წაიკითხა მოსკოვის მცირე თეატრის შენობაში, ვახტანგ მჭედლიშვილის პანაშვიდზე.
1924 წ. 1 დეკემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ასლი. 9 გვ.

45. ა. ვლისაკის (იმპროვიზაციის სტუდიის ყოფილი მოსწავლე) მოგონება ვახტანგ მჭედლიშვილის შესახებ.
პირი: პეტროვსკი (მოსკოვის დიდი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი), ა. სანინი, ნ. სმირნოვა, საფონოვი, ფორტუნატოვი, მიხაილ ბაევი, ბლაჟკოვა, ბირიულია, ზუბარნევი, მენშოვა, გოსფელდი, ალექსანდრ ფაიკო, ა. რუდაკოვი, ჟურული [გიორგი], აბაშიძე, თუმანიშვილი, გველესიანი, ციხისთავი [ელენე], კონსტანტინ სტანისლავსკი, მ. მოროზოვა, შალვა დადიანი, დავიდოვი, კ. კოტლუბაი.
1975 წ. 10 იანვარი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 7 გვ.

46. მიხაილ ბაევის მოგონება ვახტანგ მჭედლიშვილის შესახებ. მოგონებების პირველ თავში – „Козы на Иосогоре“... „Старинный водевиль“ („თხები იესოს მთაზე“... „ძველებური ვოდევილი“) – აღწერილია იმდროინდელი რუსეთის თეატრალური ცხოვრება, პირველი შეხვედრა ვახტანგ მჭედლიშვილთან და მისი მოღვაწეობა თეატრალურ სამყაროში.
პირი: კარლ ვალცი, ალექსანდრა (კ. ვალცის მეუღლე), ა. სანინი, კონსტანტინ სტანისლავსკი, ვლადიმირ ნემიროვიჩ-დანჩენკო, პოლია (კ. ვალცის მსახური), იაკობ დავიდოვიჩ იუჟინი, ნ. ბალიევი, ა. პეტროვსკი, ნადეჟდა სმირნოვა-ეფროსი (მხატვრული კითხვის პედაგოგი), ნიკალაი საფონოვი (მუსიკისა და სიმღერის პედაგოგი), ნ. საროკინი (გრიომიორი), ბაგრი კუკი (ცირკის მსახიობი), პონსი, ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინი, ალექსანდრ სტახოვიჩი, ნ. ალექსანდროვი, ა. ადაშევი, ვ. მაკლაკოვა, ნ. მასალიტონოვა, ნ. პოდგორნოვა, ს. ხალიუტინა, ხმელიოვი, ბატალოვი, ა. ტარასოვა, ციანსკაია, ვ. ვერბიცკი (მასალას ერთვის ეთერ დავითაიას რეცენზია).
1975 წ. 7 მარტი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. ქართულ და რუსულ ენებზე. 64 გვ.

47. მიხაილ ბაევის მოგონება ვახტანგ მჭედლიშვილის შესახებ. მოგონებების მეორე თავი – „Летучая мышь среди бела дня“ („ღამურა დღის სინათლეზე“) – აღწერს ვახტანგ მჭედლიშვილის რეჟისორულ მოღვაწეობას მოსკოვის სამხატვრო თეატრში, ასევე მიმოიხილავს სპექტაკლს „ქალი გველი“ (კარლო გოცი).
1975 წ. 28 მარტი. ფანქარი, ნაბეჭდი. რუსულ ენაზე (ერთვის ხელნაწერის სამუშაო ვარიანტი). 65 გვ.

48. მიხაილ ბაევის მოგონება ვახტანგ მჭედლიშვილის შესახებ – „Россия в гостях у Грузии“ („რუსეთი სტუმრად საქართველოში“) – აღწერილია ქართული დრამატული სტუდიის მუშაობა, ქართული კულტურის სახლის არსებობა მოსკოვში. აგრეთვე, ნიღბების თეატრის შექმნის ისტორია. მასალას ერთვის ეთერ დავითაიას რეცენზია მოგონებასთან დაკავშირებით.
1975 წ. 27 მაისი. მოსკოვი. ნაბეჭდი. ქართულ და რუსულ ენებზე. 38 გვ.

49. ლუბა მჭედლოვას (ვახტანგ მჭედლიშვილის მეუღლე) მოგონება სამხატვრო თეატრის რეჟისორ ვახტანგ მჭედლიშვილის შესახებ.
1977 წ. 23 ივლისი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 43 გვ.

50. მსახიობ ბაბო როსტომაშვილის მოგონება ვახტანგ მჭედლიშვილის შესახებ, მოსკოვის მცირე თეატრთან არსებულ დრამატულ სტუდიაში მოღვაწეობასთან დაკავშირებით.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

51. ნ. კონოვალოვის (მსახიობი, ვ. მჭედლიშვილის ბავშვობის მეგობარი) მოგონება ვახტანგ მჭედლიშვილის შესახებ. იგონებს ერთად სწავლის წლებს ბათუმის გიმნაზიაში და გატაცებას თეატრით, ასევე მეგობრის მიერ დადგმულ სპექტაკლებს.
უთარიღო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 3 გვ.

52. ნატალია სოსლანის მოგონება ვახტანგ მჭედლიშვილის შესახებ.
უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

53. ალა ტარასოვას მოგონება ვ. მჭედლიშვილის შესახებ. აგრეთვე ზინაიდა გიპიუსის პიესა „Зеленое кольцо“-ში („მწვანე ბეჭედი“) მისი დებიუტის შესახებ.
უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 6 გვ.

ღია ბარათები

54. ვახტანგ მჭედლიშვილის მისალოცი ღია ბარათი ანა სტანისლავოვნა მგელაძისადმი.
1912 წ. 13 აპრილი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 ც.

55. ვახტანგ მჭედლიშვილის ღია ბარათი ანა სტანისლავოვნა მგელაძისადმი.
14 ივლისი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 ც.

56. ვახტანგ მჭედლიშვილის ღია ბარათი ანა სტანისლავოვნა მგელაძისადმი.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 ც.

ლექსი

57. ვახტანგ მჭედლიშვილის ერთსტროფიანი ლექსები.
1922 წ. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

პროგრამები

58. ვახტანგ მჭედლიშვილის მიერ ახლად დაარსებული სამხატვრო თეატრის მეორე სტუდიაში განხორციელებული სპექტაკლის „Зеленое кольцо“-ს („მწვანე ბეჭედი“) პროგრამა (ზ. გიპიუსი). რეჟისორი – ვ. მჭედლიშვილი, მხატვრები – ს. ნიკიტინი, ა. სოკოლოვი.
1916 წ. 24 ნოემბერი. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ასლი. 3 გვ.

59. მოსკოვის სამხატვრო თეატრის მეორე სტუდიის მიერ, თბილისში გასტროლების დროს წარმოდგენილი პროგრამა (სარეპერტუარო მაჩვენებელი).
1) ივან ტურგენევის „ История лейтенанта Ергунова“ („ლეიტენანტ ერგუნოვის ისტორია“).
2) „Декабристы“ (დ. მერეჟკოვსკი)
3) ფიოდორ დოსტოევსკის „Братья Карамазовы“ („ძმები კარამაზოვები“).
4) ანტონ ჩეხოვის „Злоумышленник“ („ბოროტგანმზრახველი“).
1922 წ. სტამბური. რუსულ ენაზე. 1 ც.

60. მოსკოვის სამხატვრო თეატრის მეორე სტუდიის სპექტაკლის – „წარღვნის“ პროგრამა. რეჟისორი – ე. ვახტანგოვი, მხატვარი – ბ. მატრუნინი.
1923 წ. 7 ივნისი. სტამბური. რუსულ ენაზე. 1 ც.

61. მოსკოვის სამხატვრო თეატრის მეორე სტუდიის სპექტაკლის – „Узор из Роз“ („ორნამენტი ვარდებისგან“) პროგრამა. რეჟისორი – ვ. ლუჟსკი, მხატვარი – მ. ორტინსკაია, მუსიკა – ს. პოტოცკავა.
1923 წ. 10 ივნისი. სტამბური. რუსულ ენაზე. 1 ც.

62. მოსკოვის სამხატვრო თეატრის მეორე სტუდიის სპექტაკლის – „ყაჩაღების“ პროგრამა. რეჟისორი – ვერშინოვა, მხატვარი – ვ. იუსტიცკი, მუსიკა – ვ. ორანსკი.
1923 წ. 16 ივნისი. სტამბური. რუსულ ენაზე. 1 ც.

63. ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინისა და ვლადიმირ ნემიროვიჩ-დანჩენკოს მიერ მოწყობილი კონცერტის პროგრამა, ვახტანგ მჭედლიშვილის სტუდიის მსახიობთა მონაწილეობით.
1923 წ. 1 ოქტომბერი. სტამბური. რუსულ ენაზე. ერთვის ფოტო. ასლი. 1 ც.

64. თეატრ-სტუდია „Габита“-ს მიერ წარმოდგენილი სპექტაკლის პროგრამა „Вечный жид“ („მუდმივი ურია“). რეჟისორი – ვ. მჭედლიშვილი.
1923 წ. სტამბური. რუსულ ენაზე. 1 ც.

65. ოპერის სახელმწიფო თეატრში გამართული, მოსკოვის სამხატვრო თეატრის მეორე სტუდიის პროგრამა „Зеленое кольцо“ („მწვანე ბეჭედი“ – ზინაიდა გიპიუსის). რეჟისორი – ვ. მჭედლიშვილი. მხატვრები – ს. ნიკიტინი, ა. სოკოლოვი.
1923 წ. სტამბური. რუსულ ენაზე. 1 ც.

66. მოსკოვის სამხატვრო თეატრთან არსებული ქართული დრამატული სტუდიის (ხელმძღვანელი ვახტანგ მჭედლიშვილი) სპექტაკლ-კონცერტის პროგრამა. ღონისძიება მიეძღვნა საქართველოს სახალხო არტისტის შალვა დადიანის სამსახიობო და ლიტერატურული მოღვაწეობის 30 წლისთავს. წარმოადგინეს: 1. შალვა დადიანის „გეგეჭკორი“ (ისტორიული ლეგენდა. 3 მოქმედებად); 2. შალვა დადიანის „გუშინდელნი“ (კომედია 3 მოქმედებად).
1924 წ. 14 მაისი. სტამბური. რუსულ ენაზე. 1 ც.

67. მოსკოვის სახელმწიფო ოპერის თეატრში გამართული სამხატვრო თეატრის მეორე სტუდიის სპექტაკლის პროგრამა – „Младость“ („ახალგაზრდობა“). რეჟისორები – ნ. ლიტოვცევა, ვ. მჭედლოვი.
[1923 წ.] სტამბური. რუსულ ენაზე. 1 ც.

68. ვ. მჭედლიშვილის სახელობის მოსკოვის ქართული დრამატული სტუდიის მიერ დადგმული სპექტაკლის პროგრამა – „Леван, владетель Мингрелии“ („სამეგრელოს მთავარი ლევან“) – ვასილ ყიფიანის ტრაგედია. სტუდიის ხელმძღვანელი – შ. დადიანი, დამდგმელი რეჟისორი – ლ. ვოლკოვა, მხატვარი – ს. ივანოვი, მუსიკალური გაფორმება – ა. ზიკსი.
უთარიღო. სტამბური. რუსულ ენაზე. 1 ც. 8 ეგზ.

მოსაწვევი ბარათები

69. საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის მიერ გამართული ხსოვნის საღამოს მოსაწვევი ბარათი. ღონისძიება მიეძღვნა მოსკოვის ქართული დრამატული თეატრის სტუდიის დამაარსებლის, მოსკოვის სამხატვრო თეატრის რეჟისორის ვახტანგ მჭედლიშვილის გარდაცვალების 20 წლისთავს.
1944 წ. 22 მაისი. ნაბეჭდი. 1 გვ.

70. ვახტანგ მჭედლიშვილის გარდაცვალების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამოს მოსაწვევი ბარათი.
1944 წ. 22 მაისი. ნაბეჭდი. 1 გვ.

71. ვ. მჭედლიშვილის გარდაცვალების 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოს მოსაწვევი ბარათი.
1954 წ. 19 მაისი. თბილისი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც. 2 ეგზ.

72. სათეატრო მუზეუმის მიერ გამართული ვახტანგ მჭედლიშვილის სტუდიის დაარსების 50 წლისთვისადმი მიძღვნილი საღამოს მოსაწვევი ბარათი. საღამო გაიმართა საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში.
1973 წ. 15 ოქტომბერი. სტამბური. 1 ც. 3 ეგზ.

დეპეშები

73. მამულიას მიერ გამოგზავნილი დეპეშა დავით კანდელაკისადმი, რეჟისორ ვ. მჭედლიშვილის მივლინებით გამგზავრებასთან დაკავშირებით.
1923 წ. 18 აგვისტო. ხელნაწერი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 1 ც.

74. შალვა დადიანის დეპეშა განათლების სახალხო კომისარიატის თავმჯდომარის დავით კანდელაკისადმი, ვახტანგ მჭედლიშვილის სტუდიისთვის მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.
1924 წ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

75. ივანე პურადაშვილის სამადლობელი დეპეშა თეატრალური მუზეუმისადმი ვ. მჭედლიშვილის ხსოვნის აღსანიშნავი საღამოს მოწყობასთან დაკავშირებით.
1941 წ. 22 მაისი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

76. ნიკო გოზალიშვილის დეპეშა სათეატრო მუზეუმის დირექციისადმი, ავადმყოფობის გამო ვ. მჭედლიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ გამოფენასთან დაკავშირებით.
1941 წ. ნაბეჭდი. 1 ც.

77. ვახტანგ მჭედლიშვილის დეპეშა მოსკოვის სამხატვრო თეატრსა და ასევე კოლუჟსკისადმი, თბილისში გასტროლებთან დაკავშირებით სხვადასხვა სახის მოსაგვარებელი პროგრამის შესახებ (დეპეშის ასლი დამოწმებულია მოსკოვის სამხატვრო თეატრის მუზეუმის დირექტორის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის – ნ. ტელეშოვის მიერ).
უთარიღო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ასლი. 1 გვ.

ვახტანგ მჭედლიშვილის გარდაცვალებასთან და გარდაცვალების 20 წლისთავთან დაკავშირებული მასალა

78. იმპროვიზატორების ჟურნალის „Северная маска“-ს („ჩრდილოეთის ნიღაბი“) პირველი ნომერი მთლიანად მიძღვნილია ვახტანგ მჭედლიშვილის ხსოვნისადმი. ჟურნალში მოთავსებულია: ა. ჯიველეგოვის, ვ. სააკოვის, ალექსანდრ ფაიკოს, ა. ბაევის, ალ. რუდაკოვის სტატიები.
1924 წ. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 33 გვ.

79. ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის სამძიმრის წერილი ვლადიმირ ნემიროვიჩ-დანჩენკოსადმი, ვახტანგ მჭედლიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ასლი დამოწმებულია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, MXT-ის (მოსკოვის სამხატვრო თეატრი) მუზეუმის დირექტორის – ნ. ტელეშოვის მიერ.
1924 წ. 20 მაისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ასლი. 1 გვ.

80. მოსკოვის სამხატვრო თეატრის დირექციის სახელით მესხეთელისა და ხმელიოვის სამადლობელი დეპეშა თეატრალური მუზეუმის დირექტორ გრიგოლ ბუხნიკაშვილსა და მუზეუმის კოლექტივისადმი, ვახტანგ მჭედლიშვილის ხსოვნის აღსანიშნავი საღამოს მოწყობასთან დაკავშირებით.
1941 წ. 29 მაისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

81. გრიგოლ (გრიშა) სულიაშვილის წერილი გრიგოლ ბუხნიკაშვილისადმი, ვახტანგ მჭედლიშვილის გარდაცვალების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე სიტყვით გამოსვლასთან დაკავშირებით.
პირი: დოდო [ანთაძე].
1944 წ. 8 აპრილი. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

82. გრიგოლ ბუხნიკაშვილის წერილი მსახიობ ელენე ციხისთავისადმი, ვახტანგ მჭედლიშვილის გარდაცვალების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ ხსოვნის საღამოზე მონაწილეობასთან დაკავშირებით.
1944 წ. 24 აპრილი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

83. ვახტანგ მჭედლიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოს სტენოგრაფიული ანგარიში. საღამო გაიმართა თეატრალურ მუზეუმში.
1944 წ. 22 მაისი. ნაბეჭდი. 13 გვ. 7-13 გვერდები აკლია.

84. ვახტანგ მჭედლიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოს სტენოგრაფიული ანგარიში. გაიმართა თეატრალურ მუზეუმში. მოგონებებითა და მოხსენებებით გამოვიდნენ:
1) აკაკი ფაღავა – „ვ. მჭედლიშვილის ცხოვრება და შემოქმედებითი მოღვაწეობა“. გვ.: 2-7
2) ალექსანდრე წუწუნავა – „ვ. მჭედლიშვილის შემოქმედებითი გზა“. გვ.: 8-13
3) შოთა აღსაბაძე – გვ.: 14-16.
4) გრიგოლ (გრიშა) სულიაშვილი – გვ.: 17-20.
1944 წ. 22 მაისი. ნაბეჭდი. 22 გვ.

85. სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის მიერ მოწყობილი, ვახტანგ მჭედლიშვილის სტუდიის დაარსების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენის კატალოგი. გამოფენა გაიმართა საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში.
1973 წ. 12 ოქტომბერი. ნაბეჭდი. 2 გვ.

86. საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლის მიერ გაცემული ცნობა, ვ. მჭედლიშვილის სტუდიის დაარსების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოსა და სათეატრო მუზეუმის მიერ გამართული ვ. მჭედლიშვილის სტუდიის საქმიანობის ამსახველი გამოფენის მოწყობასთან დაკავშირებით.
1973 წ. 2 ნოემბერი. ნაბეჭდი. 1 გვ.

87. გრიგოლ სულიაშვილის გეგმა ვახტანგ მჭედლიშვილის გარდაცვალების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოს გამართვასთან დაკავშირებით.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

88. ვახტანგ მჭედლიშვილის სტუდიის დაარსების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოს ჩანაწერი. ღონისძიების ორგანიზატორები: მ. კვანტალიანი, ნ. საყვარელიძე. საღამო მიეძღვნა ვ. მჭედლიშვილის ხსოვნას.
უთარიღო. ნაბეჭდი. 2 გვ.

89. ვახტანგ მჭედლიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ალექსანდრ ფაიკოსა და მიხაილ ბაევის სიტყვა – „Неподлежащее забвению к 50-летию кончины“ („მიძღვნა გარდაცვალების 50 წლისთავზე“).
უთარიღო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ხელს აწერენ: ალექსანდრ ფაიკო, მიხაილ ბაევი. 4 გვ.

90. მიხაილ ბაევის სიტყვა ვახტანგ მჭედლიშვილის გარდაცვალების 50 წლისთავთან დაკავშირებით – „მასწავლებლის საფლავთან“.
უთარიღო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

91. შალვა დადიანის სიტყვა, წარმოთქმული ვახტანგ მჭედლიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ასლი დამოწმებულია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, MXT-ის (მოსკოვის სამხატვრო თეატრი) მუზეუმის დირექტორის – ნ. ტელეშოვის მიერ.
უთარიღო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ასლი 2 გვ.

92. ალექსანდრ ფაიკოს – „ორიოდ სიტყვა მასწავლებლის გამო“, ვ. მჭედლიშვილის გარდაცვალების 50 წლისთავთან დაკავშირებით.
უთარიღო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

სხვადასხვა

93. მოსკოვის სამხატვრო თეატრის მეორე სტუდიის საგასტროლო სპექტაკლების სია. გასტროლები გაიმართა თბილისში,1922 წელს.
1922 წ. გრიგოლ ბუხნიკაშვილის ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. მელანი. 1 გვ.

94. მოსკოვში საქართველოს კულტურის სახლთან არსებული ქართული დრამატული სტუდიის ხარჯთაღრიცხვა და სტუდიის მოსწავლეთა სია.
1923-1924 წწ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ჩასწორებებით. 8 გვ.

95. მოსკოვში არსებული ქართული სტუდიის ორკვირეული ჟურნალი „ზვავი“. ჟურნალში დაბეჭდილია შალვა დადიანის „საუბარი მეგობრებთან“. მხატვრულად გაფორმებულია შოთა აღსაბაძის მიერ.
1924 წ. 1 ნოემბერი. მოსკოვი. ხელნაწერი. მელანი. აკინძული. 22 გვ.

96. მოსკოვის სამხატვრო თეატრთან არსებული ქართული დრამატული სტუდიის მოსწავლეთა სია.
1925 წ. ხელნაწერი. ქართულ და რუსულ ენებზე. მელანი. 1 გვ.

97. მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსმენელის გ. ჯავაშვილის მოხსენებითი ბარათი.
1927 წ. 16 თებერვალი. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. დაზიანებული. 4 გვ.

98. გრიგოლ ბუხნიკაშვილის წერილი მიხეილ მჭედლიშვილისადმი (ვ. მჭედლიშვილის ბიძაშვილი, მსახიობი, ცხოვრობდა მოსკოვში), ვახტანგ მჭედლიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი გამოფენისთვის მოგონებების, სხვადასხვა ცნობებისა და თბილისში მცხოვრებ ნათესავთა შესახებ ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით.
1944 წ. 22 აპრილი. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.

99. ნიკო გოძიაშვილის წერილი გრიგოლ ბუხნიკაშვილისადმი, ვ. მჭედლიშვილის დედისა და დის მოგონებების გაგზავნასთან დაკავშირებით. აგრეთვე სთხოვს ვ. მჭედლიშვილის გარდაცვალების 20 წლისთავთან დაკავშირებით მოწყობილ საღამოზე დასწრების მიწვევას.
1944 წ. 1 მაისი. ავტოგრაფი. მელანი. ბლანკი. 1 გვ.

100. მიხეილ მჭედლიშვილის წერილი გრიგოლ ბუხნიკაშვილისადმი, ვახტანგ მჭედლიშვილის შესახებ, მცირედი მასალის გამოგზავნასთან დაკავშირებით. წერილშივე სთხოვს დახმარებას, საქართველოს სათეატრო მუზეუმის ხელშეწყობით, ვ. მჭედლიშვილის საფლავზე ძეგლის დადგმის შესახებ.
1944 წ. 19 მაისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 7 გვ.

101. გრიგოლ ბუხნიკაშვილის წერილი მოსკოვის სამხატვრო თეატრის დირექციისადმი, მოსკოვის ქართული სტუდიის ორგანიზატორ ვ. მჭედლიშვილის შესახებ.
1944 წ. 24 მაისი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

102. გრიგოლ ბუხნიკაშვილის წერილი მიხეილ მჭედლიშვილისადმი, სათეატრო მუზეუმისთვის ვახტანგ მჭედლიშვილის შესახებ მასალის გადმოგზავნასთან დაკავშირებით.
1944 წ. 5 ივლისი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

103. ლ. მჭედლოვას წერილი გრ. ბუხნიკაშვილისადმი, თეატრალური მუზეუმისთვის ვახტანგ მჭედლიშვილის შესახებ მასალების მიწოდებასთან დაკავშირებით.
1974 წ. 4 ივნისი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

104. ლ. მჭედლოვას წერილი ნათელა ღაშხიასადმი, ვ. მჭედლიშვილის იმპროვიზაციის თეატრის „Три части. Организатор, Драматург, Актер“ („სამი მხარე – ორგანიზატორი, დრამატურგი, აქტიორი“) შესახებ.
1974 წ. 4 ივნისი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

105. ლ. მჭედლოვას მადლობის ღია ბარათი სათეატრო მუზეუმის დირექტორ – გრიგოლ ბუხნიკაშვილისადმი, მისადმი გამოხატული ყურადღებისა და ვ. მჭედლიშვილის მოგონებასთან დაკავშირებით.
1974 წ. 18, 19 აგვისტო. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 ც.

106. ლ. მჭედლოვას სამადლობელი წერილი ნათელა ღაშხიასა და სათეატრო მუზეუმის ქალი თანამშრომლებისადმი, მისადმი გამოხატული თანადგომისა და ყურადღებისთვის.
1974 წ. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

107. ლუბა მჭედლოვას წერილი ნათელა ლაშხიასადმი, მომავალში ვახტანგ მჭედლიშვილის შესახებ მოგონების დაწერასთან დაკავშირებით.
1975 წ. 17 მარტი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

108. ლუბა მჭედლიშვილის წერილი ნათელა ლაშხიასადმი (წერილს ერთვის ლექსი, მიძღვნილი ვახტანგ მჭედლიშვილისადმი).
1975 წ. 15 იანვარი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 3 გვ.

109. ლუბა მჭედლოვას ახალი წლის მისალოცი ღია ბარათი ნათელა ლაშხიასადმი.
1976 წ. 16 დეკემბერი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 ც.

110. ლუბა მჭედლოვას (დემენტიევა) წერილი ნათელა ლაშხიასადმი, ვ. მჭედლიშვილის შემოქმედებასა და მის პიროვნულ თვისებებთან დაკავშირებით.
პირი: სოკოლოვი.
1977 წ. 19 თებერვალი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 8 გვ.

111. ლ. მჭედლოვას სარვამარტო მისალოცი ღია ბარათი სათეატრო მუზეუმის ქალებისადმი.
1977 წ. 8 მარტი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 ც.

112. ლ. მჭედლოვას სამადლობელი წერილი ნათელა ლაშხიასადმი სათეატრო მუზეუმის მიერ დავალებული ვ. მჭედლიშვილზე მოგონების დაწერასთან დაკავშირებით.
1977 წ. 2 ივლისი. მოსკოვი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

113. ლუბა მჭედლოვას 7 ნოემბრის მისალოცი ღია ბარათი ნათელა ლაშხიასა და მუზეუმის თანაშრომლებისადმი.
1977 წ. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 ც.

114. უცნობი პირის მიერ გამოგზავნილი დეპეშა სათეატრო მუზეუმის დირექტორის – გრიგოლ ბუხნიკაშვილისადმი, ვ. მჭედლიშვილის შემოქმედებისთვის საჭირო მასალის მოგროვებასთან დაკავშირებით.
პირი: ნატალია მხეიძე, შალვა მჭედლიშვილი, გიორგი (გვარი მითითებული არ არის).
1977 წ. ნაბეჭდი. მოსკოვი. რუსულ ენაზე. 1 ც.

115. ლ. მჭედლოვას ახალი წლის მისალოცი ღია ბარათი მუზეუმის თანამშრომლებისადმი.
1978 წ. 8 იანვარი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 ც.

116. ლ. მჭედლოვას მადლობის წერილი თეატრალური მუზეუმის დირექტორის გრიგოლ ბუხნიკაშვილსა და მთელ კოლექტივს, ვახტანგ მჭედლიშვილის გახსენებასთან დაკავშირებით. წერილი გაფორმებულია ჰერბარიუმით.
პირი: ნათელა ლაშხია.
1978 წ. აგვისტო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

117. ლ. მჭედლოვას პირადი ხასიათის წერილი ნათელა ლაშხიასადმი.
პირი: ვ. მჭედლიშვილი.
1982 წ. 13 აპრილი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

118. ლ. მჭედლოვას წერილი ნათელა ლაშხიასადმი, ვახტანგ მჭედლიშვილის შესახებ, შეგროვილი მასალის თეატრალური მუზეუმისთვის გადაცემასთან დაკავშირებით.
1984 წ. 20 მაისი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

119. ლ. მჭედლოვას წერილი ნათელა ლაშხიასა და თეატრალური მუზეუმის თანამშრომლებისადმი, მუზეუმის მიერ ვახტანგ მჭედლიშვილის არქივის მიღებასთან დაკავშირებით.
1984 წ. 29 მაისი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

120. ლ. მჭედლოვას სამადლობელი წერილი სათეატრო მუზეუმის დირექტორ – გრიგოლ ბუხნიკაშვილი-სადმი, ვ. მჭედლიშვილის მოგონებებთან დაკავშირებით.
უთარიღო [1977 წ.]. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

ლუბა მჭედლოვას ღია ბარათები

121. ლუბა მჭედლოვას ღია ბარათი სათეატრო მუზეუმის თანამშრომლების – ნატოსა [მანჯავიძე] და მარინასადმი [ხარაძე].
1984 წ. 1 აგვისტო. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 ც.

122. ლ. მჭედლოვას სამადლობელი ღია ბარათი ნათელა ლაშხიასადმი, მუზეუმის მიერ ვ. მჭედლიშვილის არქივის შეძენასთან დაკავშირებით.
1985 წ. 9 იანვარი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 ც.

123. ლ. მჭედლოვას ახალი წლის მისალოცი ღია ბარათი თეატრალური მუზეუმის თანამშომლებისადმი.
პირი: ნათელა ლაშხია, მარინა ხარაძე, ნატო მანჯავიძე.
1985 წ. 11 იანვარი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე.

124. ლ. მჭედლოვას 8 მარტის მისალოცი ღია ბარათი თეატრალური მუზეუმის თანამშრომლებისადმი.
1985 წ. 7 მარტი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 ც.

125. ლ. მჭედლოვას 9 მაისის მისალოცი ღია ბარათი საქართველოს ქალებისადმი (იგულისხმება სათეატრო მუზეუმის თანამშრომლები).
1985 წ. 9 მაისი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 ც.

126. ლ. მჭედლოვას ახალი წლის მისალოცი ღია ბარათი ნათელა ლაშხიასა და თეატრალური მუზეუმის სხვა თანამშრომლებისადმი.
1989 წ. 23 დეკემბერი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 1 ც.

127. ლ. მჭედლოვას ღია ბარათი ნათელა ლაშხიასადმი.
19 მაისი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ 1 ც.

128. ლ. მჭედლოვას საპირველმაისო მისალოცი ღია ბარათი ნათელა ლაშხიასადმი.
უთარიღო. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 ც.

129. ლ. მჭედლოვას ღია ბარათი ნათელა ლაშხიასადმი.
უთარიღო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 1 ც.

130. ლ. მჭედლოვას ღია ბარათი თეატრალური მუზეუმის თანამშრომლებისადმი მარინა [ხარაძე], ნატო [მანჯავიძე)] და ნათელასადმი [ლაშხია].
უთარიღო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 1 ც.

131. ლუბა მჭედლოვას ღია ბარათები.
უთარიღო. სტამბური. 3 ც.

132. განათლების სახალხო კომისარიატის განცხადება მოსკოვში არსებული ვ. მჭედლიშვილის სახელობის დრამატულ სტუდიაში მსურველთა საკონკურსო წესით მიღებასთან დაკავშირებით. სტუდიის მეთ-ვალყურე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი – ვლადიმირ ნემიროვიჩ-დანჩენკო; სტუდიის სამხატვრო ნაწილის ხელმძღვანელი, რეჟისორი, მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრისა და ამავე თეატრის სკოლის გამგე – ნ. დემიდოვი; სტუდიის ხელმძღვანელი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი და მოსკოვში არსებული ქართული კულტურის სახლის გამგე – შალვა დადიანი.
უთარიღო. ნაბეჭდი. 1 გვ.

133. საქართველოს თეატრალური მუზეუმის დირექტორ გრიგოლ ბუხნიკაშვილის წერილი მოსკოვის სამხატვრო თეატრის მუზეუმის დირექტორისადმი, საქართველოს თეატრალურ მუზეუმში გამოფენის მოსაწყობად ვახტანგ მჭედლიშვილზე არსებული მასალების გაგზავნასთან დაკავშირებით.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

134. გრიგოლ ბუხნიკაშვილის წერილი მოსკოვის სამხატვრო თეატრის დირექტორისადმი, სამხატვრო თეატრის მუზეუმში დაცული ვახტანგ მჭედლიშვილიმ არქივის ასლების გადაღებასთან დაკავშირებით.
უთარიღო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

135. საქართველოს სათეატრო მუზეუმში განხორციელებული, ვახტანგ მჭედლიშვილისადმი მიძღვნილი ერთდღიანი გამოფენის კატალოგი.
უთარიღო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

136. მოსკოვის სამხატვრო თეატრთან არსებული ქართული დრამატული სტუდიის დებულება.
უთარიღო. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. მელანი. 1 გვ.

137. მხატვარ ვ. ტებავროვსკის მეგობრული შარჟი: „ვახტანგ მჭედლიშვილი – საქართველოს ჩემპიონი“.
უთარიღო. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. ტუში. გუაში. 1 ც.

138. უცნობი ავტორის მიერ შესრულებული ვახტანგ მჭედლიშვილის მეგობრული შარჟი: „Умаляю вас!“ („გემუდარებით“).
უთარიღო. ლურჯი და შავი მელანი. 1 ც.

ვახტანგ მჭედლიშვილის ფოტოარქივი

1. რეჟისორი ვახტანგ მჭედლიშვილი გიმნაზიაში სწავლის დროს. 4X8. 1 ც. ორიგინალი.
2. რეჟისორი ვახტანგ მჭედლიშვილი გიმნაზიაში სწავლის დროს. 7X10. 1 ც. ორიგინალი.
3. რეჟისორი ვახტანგ მჭედლიშვილი გიმნაზიაში სწავლის დროს. 7X10. 1 ც. ორიგინალი.
4. ვახტანგ მჭედლიშვილი ახალგაზრდობაში. 11X17. 2 ც. ასლი.
5. ვახტანგ მჭედლიშვილი ახალგაზრდობაში. 7X12. 1 ც. ასლი.
6. ვახტანგ მჭედლიშვილი ახალგაზრდობაში. 11X17. 6X9. 10X12. 3 ც. ასლი.
7. მჭედლიშვილი ვახტანგ ახალგაზრდობაში. 5X8. 11X16. 2 ც. ასლი.
8. ვახტანგ მჭედლიშვილი ახალგაზრდობაში. 8X12. 1 ც. ორიგინალი.
9. ვახტანგ მჭედლიშვილი და კონსტანტინ სტანისლავსკი. 10X13. 1 ც. ასლი.
10. ვახტანგ მჭედლიშვილი და კონსტანტინ სტანისლავსკი მოსკოვის სამხატვრო თეატრის კოლექტივთან ერთად. 1916 წელი. 13X18. 1 ც. ასლი.
11. ვახტანგ მჭედლიშვილის დედა. 6X8. 1 ც. ასლი.
12. ვახტანგ მჭედლიშვილის დედა. 7X12. 1 ც. ორიგინალი.
13. ვახტანგ მჭედლიშვილის დეიდები. 8X11. 7X9. 3 ც. ასლი.
14. ვახტანგ მჭედლიშვილის პირველი ცოლი ვ. სოლოვიოვა. 9X14. 2 ც. ღია ბარათი.